პროექტი

საქართველოს კანონი
ცხოველთა სამყაროს შესახებ საქართველოს კანონში
ცვლილებისა და დამატებების შეტანის შესახებ

მუხლი 1. ცხოველთა სამყაროს შესახებ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე #) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლელებები და დამატებები:

1. პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 1. კანონში გამოყენებული ძირითადი ცნებები

ამ კანონში გამოყენებული ძირითადი ცნებები განიმარტოს ,,ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლში მოცემული მნიშვნელობით.“

2. მე-2 მუხლი ამოღებულ იქნას.
3. მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 3. საქართველოს კანონმდებლობა ცხოველთა სამყაროს დაცვისა და მისი ობიექტებით სარგებლობის სფეროში

საქართველოს კანონმდებლობა ცხოველთა სამყაროს შესახებ ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას,საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, კანონებს ,,ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“, „გარემოს დაცვის შესახებ” და „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ, ამ კანონს და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს ცხოველთა სამყაროს, მისი საბინადრო გარემოს დაცვისა და ცხოველთა სამყაროს ობიექტებით სარგებლობის სფეროში.“

4. მე-4 მუხლი ამოღებულ იქნას.
5. დაემატოს 4^1 მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 4^1. „ცხოველთა სამყაროს შესახებ” საქართველოს კანონის მოწესრიგების სფერო

1. ეს კანონი აწესრიგებს სამართლებრივ ურთიერთობებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და ფიზიკურ და იურიდიულ (საკუთრებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის განურჩევლად) პირებს შორის ცხოველთა სამყაროს ობიექტებით სარგებლობის სფეროში.
2. ამ კანონის მიზანია ,,ბიოლოგიური მრავალფეროვნებსი შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და დაცვით ცხოველთა სამყაროს ობიექტების სარგებლობის დამატებითი წესების განსაზღვრა.“

6. 5-9 მუხლები ამოღებულ იქნას.
7. პირველი კარის მე-2 თავი ამოღებულ იქნას.
8. მე-2 კარის მე-3 თავი ამოღებულ იქნას.
9. 25-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ბ) თევზჭერას, წყლის უხერხემლო ცხოველებისა მოპოვების ჩათვლით;

10. 25-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ“, ,,ე“, ,,ვ“, ,,ზ“ ქვეპუნქტები და მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტები ამოღებული იქნას.
11. 26-ე და 27-ე მუხლები ამოღებულ იქნას
12. 31-ე მუხლის მე-2 პუნქტი ამოღებულ იქნას.
13. 32-ე და 33 მუხლები ამოღებული იქნას.
14. 34-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტები ამოღებულ იქნას.
15. 35-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. შენახვის და გამრავლების მიზნით ფიზიკურ და იურიდიულ პირებს უფლება აქვთ მოიპოვონ (შეიძინონ) გარეული ცხოველები, მათი ტყვეობაში ან ნახევრად თავისუფალ პირობებში შენახვისა და გამრავლებისათვის, მათი ცხოველქმედების პროდუქტების მიღების ან სხვა მიზნით.

2. გარეული ცხოველები, რომლებსაც ფიზიკური ან იურიდიული პირები ინახავენ ტყვეობის ან ნახევრად თავისუფალ პირობებში, ბუნებრივი გარემოდან მათი ამოღების და შეძენის კანონიერების დამადასტურებელი საბუთების გარეშე, ითვლებიან უკანონოდ შეძენილებად.

3. აკრძალულია გარეული ცხოველების შეძენა იმ ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან, რომელთაც არ გააჩნიათ მათი მოპოვების ან შეძენის კანონიერების დამადასტურებელი საბუთები.“

16. 35-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტები ამოღებულ იქნას.
17. 36-ე მუხლი ამოღებულ იქნას.
18. 50-ე მუხლი ამოღებულ იქნას.
19. 59-ე და მე-60 მუხლები ამოღებულ იქნას.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2023 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**

განმარტებითი ბარათი

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

კანონპროექტის შემუშავების მიზანია ,,ცხოველთა სამყაროს შესახებ“ საქართველოს კანონის ,,ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტთან შესაბამისობაში მოყვანა.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

ბიომრავალფეროვნების სფეროში არსებული საკანონმდებლო აქტების ბიომრავალფეროვნების დაცვის, შენარჩუნებისა და მდგრადი მართვის პრინციპებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით შემუშავდა „ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი. ,,ცხოველთა სამყაროს შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ კანონის პროექტის მომზადების აუცილებლობა გამოწვეულია ,,ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის შემუშავებით, რომელიც ადგენს საკანონმდებლო ვალდებულებას საქართველოს კანონმდებლობა შესაბამისობაში იქნას მოყვანილი აღნიშნულ კანონთან.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

კანონპროექტის შემუშავება ემსახურება ,,ცხოველთა სამყაროს შესახებ“ საქართველოს კანონის ,,ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტთან შესაბამისობაში მოყვანას, რომლის მიზანია შექმნას ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვის მყარი სამართლებრივი საფუძვლები, რამაც უნდა უზრუნველყოს ქვეყნის ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვა, მისი ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური ფუნქციების განსახორციელებლად სახეობებისა და ჰაბიატების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების შენარჩუნება და გაუმჯობესება.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

,,ცხოველთა სამყაროს შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებები აუქმებს კანონის იმ ნორმების მოქმედებას, რომელიც ახლებურად წესრიგდება ,,ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტით, ხოლო პირველ, მე-3, 35-ე მუხლის პირველ, მე-2 და მე-3 ნაწილებში შეტანილი ცვლილებებით ხდება ნორმების შესაბამისობაში მოყვანა ,,ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“ საქართველოს კანონთან. კანონპროექტის პირველი მუხლის თანახმად, კანონში გამოყენებული ტერმინები შესაბამისობაში მოდის ,,ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“ საქართველოს კანონის ტერმინებთან, ხოლო მე-3 მუხლი აზუსტებს საქართველოს კანონმდებლობას ცხოველთა სამყაროს დაცვისა და მისი ობიექტებით სარგებლობის სფეროში. კანონპროექტის 4[1] მუხლი ადგენს „ცხოველთა სამყაროს შესახებ” საქართველოს კანონის მოწესრიგების სფეროს, რომლის თანახმად, აღნიშნული კანონის მიზანია ,,ბიოლოგიური მრავალფეროვნებსი შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და დაცვით ცხოველთა სამყაროს ობიექტების სარგებლობის დამატებითი წესების განსაზღვრა.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიციირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

არ არსებობს.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში - აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონი ძალაში შედის 2022 წლის 1 ივნისიდან.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

არ ითხოვს

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს იმ პირთა ფინანსურ მდგომარეობაზე, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/

შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, - მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომლებმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს

ე) კანონპროექტის ავტორი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ვ) კანონპროექტის ინიციატორი

საქართველოს მთავრობა